საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1056-02
25/05/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვისა და მიღებისთვის საჭირო პროცედურებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პერსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილის, ნიკოლოზ ბრეგვაძის Nგ-1/027/2016 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვისა და მიღებისთვის საჭირო პროცედურებისა და ვადების განსაზღვრის თანდართული წესი.

2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული წესის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უზრუნველყოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი